ბრძანება:**ბ63. 6323152001**
თარიღი:**01/06/2023**

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 5 ივნისის სხდომის მოწვევის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,, ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი''-ს 26-ე მუხლის 1-ლი პუნქტის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

მუხლი 1. მოწვეულ იქნას სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომა, 2023 წლის 5 ივნისს 11:00 საათზე.სხდომის ჩატარების ადგილი: ადგილობრივი თვითმმართველობის შენობაში არსებული საკრებულოს სხდომათა დარბაზი, რესპუბლიკის ქუჩა N6.

მუხლი 2. სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე წარდგენილ იქნას დღის წესრიგის შემდეგი პროექტები:

1. სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 5 ივნისის სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ.

/მომხსენებელი: საკრებულოს თავმჯდომარე, ნ.ჯამბურია/

2. ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის კომპლექსური სპორტული სკოლის'' 2023 წლის პროგრამისა და მისი განხორციელების ხარჯის დამტკიცების შესახებ'', სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 21 დეკემბრის

Nგ-63.632235522 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხსენებელი: საფინანსო - საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, მ.უღრელიძე/

3. „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი''-ს 2023 წლის ხარჯების დამტკიცების შესახებ“, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 21 დეკემბრის Nგ-63.632235510 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხსენებელი: საფინანსო - საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, მ.უღრელიძე/

4. სამტრედიის მუნიციპალიტეტის ნაბაკევის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ

ჩხენიშში მდებარე შენობა-ნაგებობისთვის, რომელშიც განთავსებულია სამედიცინო ამბულატორია, (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.03.52.334), რევაზ სალაყაიას სახელის მინიჭების შესახებ.

/მომხსენებელი: განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, ი.მელაშვილი/

5. ქალაქ სამტრედიაში, თამარ მეფის ქუჩაზე, რკინიგზის სადგურის წინ მდებარე მოედნისთვის, (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.08.56.073) ნიკო ნიკოლაძის სახელის მინიჭების შესახებ.

/მომხსენებელი: განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, ი.მელაშვილი/

6. ინფორმაცია, სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის, ტურიზმის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის მიერ, 2022 წლის 1 აგვისტოდან 2023 წლის აპრილის ჩათვლით გაწეული მუშაობის შესახებ.

/მომხსენებელი: განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, ი.მელაშვილი/

7. საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 თებერვლის №23 დადგენილების შესაბამისად, რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან, სამტრედიის მუნიციპალიტეტში 2023 წელს განსახორციელებელი 27 პროექტის მოწონების შესახებ.

8. სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩხენიშში მდებარე 100.00 კვ.მ არასასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთისა და მასზე განთავსებული №1 რევაზ სალაყაიას სახელობის შენობა-ნაგებობის (შენობა-ნაგებობის საერთო ფართი 82.01 კვ.მ), მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.03.52.334, სახელმწიფოსთვის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ

/მომხსენებელი: ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, ტ.ცომაია/

9. სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარესთან, ანაზღაურებად შვებულებაში გასვლის გამო, სამსახურეობრივი ურთიერთობის შეჩერების შესახებ.

/მომხსენებელი: იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, მ.სირბილაძე/

10. სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება''-ს თავმჯდომარესთან, ანაზღაურებად შვებულებაში გასვლის გამო, სამსახურეობრივი ურთიერთობის შეჩერების შესახებ.

/მომხსენებელი: იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, მ.სირბილაძე/

11. **სხვადასხვა.**

მუხლი 3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით სამტრედიის რაიონულ სასამართლოში (ქ. სამტრედია, ძმები ნინუების ქ. N1) მისი გამოცემიდან 1/ერთი/ თვის ვადაში.

მუხლი 4.ბრძანება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე.

ნუგზარ ჯამბურია

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი